

17. რომელია არასწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
 ა) მე-22-ე ბ) მე-5 გ) 1-ლი
18. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
 ა) სამას სამი ბ) ოცდა ხუთი გ) ასორი
19. რომელ წინადადებაში არაა შეცდომა?
 ა) ყველა მოვიდნენ ლაზარეს დაბადების დღეზე.
 ბ) ბევრი ფოთლები ცვიოდა ჩემს აივანზე.
 გ) მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი თეატრის შესასვლელთან.
20. რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული შეცდომა?
 ა) „ცოტა ხანს იფრინა ველზე ყვავილმა.“
 ბ) „პეპელასთან თამაში გართულმა ბიჭუნამ პაპა ვერ შეამჩნია.“
 გ) „კარაქიანი პური მურას თათან დავუდე.“

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნაცვალსახელი: ჩვენ, შენ?
 ა) ჩვენებითს ბ) კუთვნილებითს გ) პირის ნაცვალსახელთა ჯგუფს
22. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნაცვალსახელი: ჩვენი, თქვენი?
 ა) ჩვენებითს ბ) კუთვნილებითს გ) პირის ნაცვალსახელთა ჯგუფს
23. რამდენპირიანია ზმნა „ხტის“?
 ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი
24. შეუწყვეთ პირები ზმნას - *გაუკეთა*:
 ა) ის მას ბ) მას ის გ) მან მას ის
25. შეუწყვეთ პირები ზმნას - *შეიკერა*:
 ა) მან ის ბ) მან მას გ) ის მას
26. რომელია ზმნიზედა წინადადებაში: „გამოვედით თუ არა, მზემ მაშინვე კარგად გამოანათა.“
 ა) გამოანათა ბ) მზემ გ) კარგად
27. რომელია ზმნიზედა წინადადებაში: „თითქოს მტკვარი ცისფრად ანათებდა.“
 ა) მტკვარი ბ) ცისფრად გ) ანათებდა
28. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: ხეზე, ბუდეში?
 ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების
29. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: საშუალოდ, გულმხურვალედ?
 ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების
30. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: გუმინ, დღეს?
 ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. „მხართვეძოზე წევს“ ანუ
 ა) გვერდულად წევს ბ) უსაქმურობს გ) ავადაა
32. „არაფერი იცის“ იგივეა, რაც:
 ა) „ჭურში ზის“ ბ) „ჩაილურის წყალი დალია“ გ) „ფეხს ითრევს“
33. „აღდგომა გაუთენდა“ იგივეა, რაც:
 ა) ძალიან გაუხარდა ბ) ძალიან შეემინდა გ) ძალიან გაუკვირდა
34. „ბანზე სიტყვის აგდება“ იგივეა, რაც:
 ა) თავიდან აცილება ბ) გაბრაზება გ) დაფიქრება
35. „ვირზე შეჯდა“ იგივეა, რაც:
 ა) გაჯიუტდა ბ) სასეირნოდ წავიდა გ) გაუხარდა